



ბრიტანეთის საელჩო  
თბილისი

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის  
19 სექტემბერი, 2019

საკონტაქტო პირი

თბილისი: დიანა ჩაჩუა

dchachua@ndi.org, +995 577 77 96 39

ვაშინგტონი: კლეიტონ მაკკლესკი

cmcclesky@ndi.org, +1 202 728-5429

**NDI-ის კვლევა: მოსახლეობა მთავრობის საქმიანობას ცუდად აფასებს; ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და მიიჩნევს, რომ “გადამეტებული ძალა” იყო გამოყენებული.**

თბილისი – ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC საქართველოს მიერ დღეს გამოქვეყნებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსახლეობის 60 პროცენტი მთავრობის საქმიანობას “ცუდად” აფასებს. ამავე კვლევის თანახმად, პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის, სასამართლოებისა და პარლამენტის უარყოფითი შეფასება იზრდება. საჯარო ინსტიტუტებს შორის ყველაზე კარგად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა (64 პროცენტი) და იუსტიციის სახლების (57 პროცენტი) საქმიანობა შეფასდა. თბილისის მერის კახა კალაძის საქმიანობას კვლავაც უმეტესად დადებითად აფასებენ.

“გასული წლის განმავლობაში მთავრობის საქმიანობის შეფასება გაუარესდა, რაც სავარაუდოდ, მოსახლეობის მიერ ქვეყნის მიმართულებისა და ეკონომიკის ცუდ შეფასებასთან არის დაკავშირებული,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა. - “როგორც სამშაბათს გამართულმა კვლევის პრეზენტაციამ აჩვენა, საზოგადოება ეკონომიკურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობას მთავრობას აკისრებს.”

მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (92 პროცენტი) 20 ივნისის მოვლენების შესახებ სმენია და, ღია კითხვაში, 55 პროცენტი მომხდარ ძალადობაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას (43 პროცენტი), მაშინ მოქმედ შს მინისტრ გიორგი გახარას (9 პროცენტი), შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციას (1-1 პროცენტი) აკისრებს. ასევე, მათგან ვისაც სმენია 20 ივნისის მოვლენების შესახებ, 8 პროცენტი მომხდარ ძალადობაზე პასუხისმგებლობას ნაციონალურ მოძრაობას აკისრებს.

გარდა ამისა, ვისაც 20 ივნისის მოვლენების შესახებ სმენია, მათგან 68 პროცენტი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ საპროტესტო აქციის დაშლისას გადამეტებული ძალა

გამოიყენა. მათგან ვისაც სმენია 20 ივნისის მოვლენების შესახებ და ფიქრობს, რომ მთავრობამ გადამეტებული ძალა გამოიყენა, 71 პროცენტს მიაჩნია, რომ მათ მიმართ, ვინც გადამეტებული ძალა გამოიყენა, სათანადო ღონისძიებები არ გატარებულა. თუმცა, საზოგადოებრივი აზრი გაყოფილია გიორგი გახარიას გადადგომის მოთხოვნასთან დაკავშირებით - მათგან ვისაც სმენია 20 ივნისის მოვლენების შესახებ, 46 პროცენტი ეთანხმება, ხოლო 39 პროცენტი არ ეთანხმება გიორგი გახარიას გადადგომის მოთხოვნას.

“საზოგადოება 20 ივნისის მოვლენებსა და შემდგომ საპროტესტო აქციებზე მთავრობის პასუხით არ არის კმაყოფილი და პასუხისმგებლობას ძირითადად ხელისუფლებას აკისრებს.” - განაცხადა თორნტონმა. - “არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ სათანადო ზომები გაატაროს და პასუხისმგებლობა დააკისროს მათ, ვინც აქციის მონაწილეების მიმართ ძალადობა ჩაიდინა. ეს აუცილებელია, რათა მოსახლეობას ჰქონდეს რწმენა, რომ ხელისუფლებას შესწევს უნარი მომავალში საპროტესტო აქციებს მშვიდობიანად გაუმკლავდეს.”

მოსახლეობის უმეტესობა მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიას ვერ ასახელებს. 19 პროცენტი - მმართველ პარტიას “ქართულ ოცნებას”, 9 პროცენტი - ოპოზიციურ “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას”, ხოლო 4-4 პროცენტი “ევროპულ საქართველო-თავისუფალ დემოკრატიებსა” და “პატრიოტთა ალიანსს” ასახელებს. ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა მოქალაქეების 59 პროცენტი წავიდოდა ხმის მისაცემად, თუმცა მოსახლეობის 57 პროცენტს, ამ მომენტისთვის, არ აქვს გადაწყვეტილი თუ ვის შემოხაზავდა.

NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით და ატარებს CRRC საქართველო.

#### **-დასასრული-**

*NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: [www.ndi.org](http://www.ndi.org)*

*CRRC საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.crrc.ge](http://www.crrc.ge)*